შპს კარიბჭე

კარიბჭე

# საექსპერტო დასკვნა

ერთ სართულიან შენობაზე

მდებარე: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №51

მესაკუთრე: შპს "ოაზისი 2002"

დაკ. № 1/4
12.02.2018

შპს "კარიბჭე"-ს დირექტორი: /ე. მინაძე/

ესპერტი: /ე. მინაძე/

ქუთაისი, 2018წ.

**დამკვეთი:** შპს "ოაზისი 2002" დირექტორი

**იოსები მურუსიძე**

ქ.ქუთაისი 12 თებერვალი 2018 წელი

მისამართი: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №51

## საექსპერტო დასკვნა არსებული შენობის მდგრადობაზე

**ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი:** შპს "ოაზისი 2002"-ის დირექტორის

**იოსებ მურუსიძის** მომართვა

ექსპერტიზის ჩატარება დამევალა მე ელგუჯა მინაძეს, ინჟინერ მშენებელს, უმაღლესი განათლებით, სპეციალობით მუშაობის სტაჟი შეადგენს 42 წელს.

(ექსპერტს საქართველოს სსსკ-ის 97-ე მუხლის შესაბამისად განმემარტა უფლება-მოვალეობანი და საქართველოს სსსკ-ის 365-ე მუხლის შესაბამისად ექსპერტის კომპეტენციის ფარგლები. ასევე გაფრთხილებული ვარ წინასწარ შეცნობით ყალბი დასკვნის მიცემისათვის საქართველოს სსსკ-ის 370-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ).

### ექსპერტიზის წინაშე დასმული შეკითხვები:

1. ქ. ქუთაისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №51-ში მდებარე ერთ სართულიანი შენობა, სადაც განთავსებულია სავაჭრო ობიექტები და რომლებიც ეკუთვნის შპს "ოაზისი 2002"-ს კონსტრუქციულად მდგრადია თუ არა, შეესაბამება თუ არა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.
2. შესაძლებელია თუ არა აღნიშნულ შენობაზე მეორე სართულის დაშენება.

### გამოკვლევა

საკითხის შესწავლის მიზნით მოვახდინე ვიზუალური დათვალიერება აღნიშნული შენობის, დათვალიერებით გამოირკვა, რომ შენობა ერთ სართულიანია, შენობის კედლები ნაწილობრივ აგურისაა, ნაწილი ბლოკის. შენობის საძირკვლები

ლენტურია – ბეტონის. გადახურვა ქანობიანია ხის კოჭებზე დაყრდნობილი. შენობას არა აქვს სეისმური სარტყელი, დათვალიერების დროს შენობაზე ბზარები და დეფორმაციები არ შეინიშნება.

შპს "ოაზისი-2002"-ის დირექციას სურს აღნიშნულ ერთსართულიან შენობას ჩაუტაროს რეკონსტრუქცია, კერძოდ დააშენოს მეორე სართული.

აღნიშნულ ობიექტზე გაკეთდა გეოლოგია, რომლის თანახმად არსებული საძირკვლები ლენტურია – ბეტონის, რომელიც დაფუძნებულია რიყნარზე, რომლის საანგარიშო წინაღობა $R_0$=3.5 კგძ/სმ$^2$. იგი ჩაღრმავებულია მიწის ზედაპირიდან 60 სმ-ით.

## ექსპერტის დასკვნა:

1. ქ. ქუთაისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №51, სადაც განთავსებულია შპს "ოაზისი 2002"-ის კუთვნილი ერთ სართულიანი სავაჭრო ობიექტები, დღევანდელი მდგომარეობით აკმაყოფილებს მასზედ წაყენებულ მოთხოვნებს, შენობა ვარგისია არსებული მდგომარეობით.
2. აღნიშნულ შენობაზე მეორე სართულის დაშენება შეუძლებელია არსებული კედლებისა და გეოლოგიის გათვალისწინებით შეუძლებელია, მეორე სართულის დასაშენებლად საჭიროა დამოუკიდებელი მონ. რკ/ბეტონის კარკასის შექმნა არსებულ შენობაში, რომელიც გამოყენებული იქნება, როგორც მზიდი კონსტრუქცია, აგრეთვე სართულისთვის, ხოლო არსებული კედელი გამოყენებული იქნება, როგორც შემავსებელი, ამისათვის საჭიროა არსებულზე შედგეს პროექტი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

## საექსპერტო დასკვნისათვის გამოყენებული ლიტერატურა:


1. სამშენებლო ნორმები და წესები პნ 01.01.09- "სეისმური მშენებლობა"

2. სამშენებლო ნორმები და წესები 3.03.01-87 - “მზიდი და შემომღობავი კონსტრუქციები” საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/823, 24.08.2006წ.
3. საქართველოს მშენებლობის მინისტრის 1992 წლის 7 ივნისის №42 ბრძანება.
4. საქართველოს მთავრობის 2009 წლის მარტის №57 დადგენილება.
5. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის 59-ე დადგენილება.

ექსპერტი: /ე. მინაძე/